

შპს “ოპიზარი“

(ს.5 400122381)

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული
საანგარიშგებო წლისთვის

დამტკიცების თარიღი: 25/09/2019

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



სარჩევი

1. შესავალი _____ 3-4
2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება _____ 5
3. მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება _____ 6
4. საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება _____ 7
5. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები _____ 8-12

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

1. შესავალი

1.1 ზოგადი ინფორმაცია

- დასახელება: შპს „ოპიზარი“;
- ს/კ: 400122381;
- მისამართი: საქართველო, ქ. თბილისი, გლდან-ნამალაღდვის რაიონი, ხანძთელის ქ., N 1;
- გადამხდელის სტატუსი: მოქმედი;
- სამართლებრივი ფორმა: შპს;
- დამფუძნებელი: გრიგოლ ჯიქია 100% წილის მფლობელი;
- საქმიანობა: საცხოვრებელი და არასაცხოვრებელი შენობების მშენებლობა, სარეკლამო სააგენტოების საქმიანობა;
- ეკონომიკური საქმიანობის (NACE) კოდი: 41200, 73110;
- საგადასახადო რეგისტრაციის თარიღი: 14.07.2014 წ.;
- დღგ-ს გადამხდელია 15.07.2014 წ.

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ფინანსური ანგარიშგების მომზადებაზე, რომელიც სამართლიანად ასახავს შპს „ოპიზარი“-ს (შემდგომში კომპანია) ფინანსურ ანგარიშგებას 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, რაც მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშს 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, მოგება-ზარალის და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშს და კაპიტალის ცვლილების ანგარიშს ამ თარიღისთვის დასრულებული წლისათვის და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის და სხვა განმარტებითი ინფორმაციის შეჯამებას. აღნიშნული ფინანსური ანგარიშგებები მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების („მსს ფასს“) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ეროვნულ ფულად ერთეულებში (ლარი).

ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია:

- ❖ მართებული ბუღალტრული პრინციპების არჩევისა და თანმიმდევრულ გამოყენებაზე;
- ❖ გონივრულ მსჯელობაზე და შეფასებებზე;
- ❖ განცხადებაზე არის თუ არა ფინანსური ანგარიშგება მომზადებული მსს ფასსის მიხედვით.

ხელმძღვანელობა აგრეთვე პასუხისმგებელია:

- ❖ კომპანიაში ეფექტიანი შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებაზე, დანერგვასა და შენარჩუნებაზე;
- ❖ ისეთი ბუღალტრული ჩანაწერების წარმოებაზე, რომელიც ნებისმიერს დროს გონივრული სიზუსტით წარმოადგენს ფინანსურ მდგომარეობას და იძლევა რწმუნებას, რომ კომპანიის ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება შეესაბამება მსს ფასსის მოთხოვნებს;
- ❖ სავალდებულო საბუღალტრო ჩანაწერების წარმოებაზე საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;
- ❖ ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება, რომელიც მომზადებულია 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ხელმძღვანელობის მიერ დამტკიცდა გამოსაშვებად 2020 წლის 26 სექტემბერს.

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია

მთ. ბუღალტერი: ცოტნე ხანიშვილი

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

2. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	Note	12/31/2019	12/31/2018
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები	3	672,001	253,149
საინვესტიციო ქონება	4	800,000	0
ბიოლოგიური აქტივი	5	0	0
ინვესტიციები მკაცვშირე საწარმოში		0	0
		1,472,001	253,149
მოკლევადიანი აქტივები			
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	6	676,257	586,621
სავაჭრო მოთხოვნები	7	125,107	30,687
გადახდილი ავანსები		74,349	
მარაგები	8	32,263	78,032
მისაღები დივიდენდები და პროცენტები	9	0	0
		907,975	695,340
მთლიანი აქტივები		2,379,976	948,489
მთლიანი კაპიტალი			
საწესდებო კაპიტალი		0	0
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		2,379,976	931,641
გადაფასების რეზერვი		0	0
		2,379,976	931,641
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
გრძელვადიანი სესხები	10	0	0
ანარიცხები	11	0	0
		0	0
მოკლევადიანი ვალდებულებები			
მოკლევადიანი სესხები	10	0	0
გადავადებული შემოსავალი	12	0	0
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	13	0	11,878
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		0	0
საგადასახადო ვალდებულებები	14	0	4,970
გადასახდელი პროცენტი		0	0
გადასახდელი დივიდენდი		0	0
		0	16,848
მთლიანი ვალდებულებები		0	16,848
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		2,379,976	948,489

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

3. მოგებისა და ზარალის ანგარიშგება

მოგებისა და ზარალის ანგარიშგება	Note	12/31/2019
ამონაგები	16	7,630,637
თვითღირებულება		(2,552,333)
საერთო მოგება		5,078,304
სხვა შემოსავლები	17	-
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი		(2,439,849)
მიწოდების დანახარჯები		
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა	18	-
სხვა ხარჯები	19	(548,419)
საოპერაციო მოგება		2,090,036
ფინანსური შემოსავალი	20	-
ფინანსური ხარჯი	20	-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-
მოგება დაბეგვრამდე		2,090,036
მოგების გადასახადი		(96,594)
პერიოდის მოგება		1,993,441
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1,993,441

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

4. საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	მთლიანი კაპიტალი
2019 წლის 01 იანვარი	-	931,641	931,641
მოგება წლის ბოლოს	-	1,995,703	1,995,703
სხვა სრული შემოსავალი	-	-	-
პერიოდის სრული შემოსავალი	-	1,995,703	1,995,703
გაცემული დივიდენდი	-	(547,368)	(547,368)
კაპიტალის შემცირება	-	-	-
2019 წლის 31 დეკემბერი	-	2,379,976	2,379,976

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



1. ფინანსური ანგარიშგების ახსნა-განმარტებითი შენიშვნები

1 მომზადების საფუძვლები

ფინანსური ანგარიშგება წარმოადგენს კომპანიის წლიურ ფინანსურ ინფორმაციას, რომელიც სრულ შესაბამისობაშია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებთან მცირე და საშუალო საწარმოებისათვის (მსს ფასს).

მსს ფასს-ის შესაბამისად ფინანსური ანგარიშგების მომზადება მოითხოვს გარკვეულ კრიტიკულ საბუღალტრო შეფასებების გამოყენებას. იგი ასევე მოითხოვს მენეჯმენტის მხრიდან გარკვეული მსჯელობების წარმართვას კომპანიის საბუღალტრო პოლიტიკის გამოყენების პროცესში. სფეროები, რომლებიც მსჯელობის ან კომპლექსურობის მაღალ ხარისხს შეიცავს, ასევე სფეროები, რომლებშიც ფინანსური ანგარიშგებისთვის მნიშვნელოვან დაშვებებსა და შეფასებებს მოიცავს.

კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი მოიცავს კალენდარულ წელს 2019 წლის 01 იანვრიდან 2019 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

2 სამუშაო და ანგარიშგებას ვალუტა

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც კომპანიის სამუშაო ვალუტას წარმოადგენს.

3 საქმიანობის უწყვეტობა (ფუნქციონირებადი საწარმო)

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპზე დაყრდნობით, რაც გულისხმობს აქტივების რეალიზაციას და ვალდებულებების დაფრვას ჩვეულებრივი საქმიანობის პირობებში.

4 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკის მიმოხილვა

ქვემოთ მოცემულია კომპანიის მიერ თავისი ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე.

კომპანია აქტივებსა და ვალდებულებებს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში წარმოადგენს მათი მოკლე და გრძელვადიანი კლასიფიკაციის საფუძველზე.

5 აქტივები

კომპანიის აქტივების ძირითად წარმოადგენს მიმდინარე აქტივები. მიმდინარე აქტივები თავის მხრივ შედგება ფულის და მათი ექვივალენტებისგან, მოკლევადიანი მოთხოვნებისგან.

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

კომპანიის გრძელვადიანი აქტივები შედგება ძირითადი საშუალებებისგან.

6 ფული და ექვივალენტები

ფულადი სახსრები და მათი ექვივალენტები ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში მოიცავს საბანკო ანგარიშებზე და კომპანიის სალაროში არსებულ თანხებს.

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ექვივალენტები

	2019	2018
ნაღდი ფული სალაროში	7,799	15,879
ფული საბანკო ანგარიშებზე	634,925	571,683
სულ	642,724	587,562

7 სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება გროვდება როდესაც კონტრაგენტმა შეასრულა თავისი სახელშეკრულებო ვალდებულებები. სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით, ყველა სავაჭრო მოთხოვნა პირდაპირ ჩამოიწერება და აღიარდება პერიოდის მოგება ზარალში.

გადახდილი ავანსები წარმოადგენს წინასწარ გადახდილ თანხებს საქონლის და მომსახურების გაწევის მიზნით, ასევე მასთან დაკავშირებულ სხვადასხვა წინასწარ გადახდილ საოპერაციო ხარჯებს.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2019	2018
სავაჭრო მოთხოვნები - ნეტო	125,107	30,687
გადახდილი ავანსები	74,349	
სულ	199,456	30,687

8 ფიქსირებული აქტივების ნარჩენი ღირებულება

ძირითადი საშუალებების თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით და სხვა პირდაპირი ხარჯებით. ძირითადი საშუალებები აღირიცხება მათ თავდაპირველ ღირებულებას დაკლებული ცვეთა ან/და გაუფასურების ღირებულება.

ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადის განმავლობაში მათი ცვეთადი ღირებულების სისტემატურ საფუძველზე გასანაწილებლად კომპანია იყენებს ცვეთის დარიცხვის

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

წრფივ მეთოდს, რაც გულისხმობს ცვეთის ერთი და იმავე თანხის დარიცხვას აქტივის მთელი მომსახურების ვადის მანძილზე.

ძირითადი საშუალებები

	მიწის ნაკვეთები	შენობები	სატრანსპორტო საშუალებები	ავტო და ოფისის აღჭურვილობა	მანქანა-დანადგარები	სულ
31 დეკემბერი 2018	-	-	61,584	208,170	78,936	348,690
შემოსვლა	-	-	141,793	51,805	-	193,598
გადაფასება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	(15,654)	-	(15,654)
31 დეკემბერი 2019	-	-	203,377	244,321	78,936	526,634
ცვეთა და გაუფასურება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	(10,814)	(57,826)	(26,901)	(95,541)
პერიოდის ცვეთა	-	-	(10,545)	(18,240)	(7,735)	(36,520)
გაუფასურება	-	-	-	-	-	-
გასვლა	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2019	-	-	(21,359)	(76,066)	(34,636)	(132,061)
წმინდა საბალანსო ღირებულება	-	-	-	-	-	-
31 დეკემბერი 2018	-	-	50,770	150,344	52,035	253,149
31 დეკემბერი 2019	-	-	182,018	168,255	44,300	394,573

9 სასაქონლო მატერიალური მარაგები

წინამდებარე ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში სასაქონლო-მატერიალური მარაგების შეფასება ხდება თვითღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესი თანხით. სასაქონლო მატერიალური ფასეულობების თვითღირებულება მოიცავს შემქმნის დანახარებს, რაც თავის მხრივ მოიცავს შემქმნის (ნასყიდობის) ფასს, იმპორტთან დაკავშირებულ გადასახადებს, გარდა საწარმოსათვის დასაბრუნებელი გადასახადებისა, სატრანსპორტო დატვირთვა-გადმოტვირთვისათვის დანახარჯებს და სხვა პირდაპირი ხარჯები აღიარდება დამოუკიდებლად როგორც ხარჯი.

10 მოკლევადიანი ვალდებულებები

მოკლევადიანი ვალდებულებების დარიცხვა ხდება, მაშინ როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ან აქვს აღებული ვალდებულება შესრულოს თავისი მოვალეობები საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების გაწევასთან დაკავშირებით. კომპანიის კრედიტორული დავალიანება წარმოადგენს მოკლევადიანი ვალდებულებებით წარმოშობილი საქონლის მოწოდებასთან ან მომსახურების მიღებასთან დაკავშირებით, ასევე გადასახდელი ხელფასები და მიღებული ავანსები.

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

საეჭრო და სხვა ვალდებულებები

	2019	2018
საეჭრო ვალდებულებები	0	12,208
გადასახდელი ხელფასები	0	0
მიღებული ავანსები	0	0
სულ	0	12,208

11 საგადასახადო ვალდებულებები

კომპანიას საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს საგადასახადოს მიმართ ვალდებულება არ გააჩნია.

12 გაუნაწილებელი მოგება-ზარალი

კომპანიის გაუნაწილებელი მოგება 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შეადგენდა 933904 (ცხრაას ოცდაცამეტი ცხრაასოთხ) ლარს. საანგარიშგებო პერიოდის განმავლობაში დივიდენდი განაწილდა 547368 (ხუთას ორმოცდაშვიდი ათას სამას სამოცდარვა) ლარის ოდენობით. 2019 წლის საანგარიშგებო წელს აკუმულირებულმა წლიურმა მოგებამ შეადგინა 1993441 (მილიონ ცხრაას ოთხმოცდაცამეტი ათას ოთხასორმოცდაერთი) ლარი. 2019 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაუნაწილებელი მოგებს ნაშთი 2379976 (ორი მილიონ სამას სამოცდაცხრამეტი ათას ცხრაას სამოცდათექვსმეტი) ლარს.

13 შემოსავლის აღიარება

შემოსავლების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების სამართლიანი ღირებულებით გადასახადებისა და მოსაკრებლების გამოკლებით. კომპანია საქონლი/ მომსახურების გაყიდვის შედეგად მიღებულ ამონაგებს აღიარებს, როდესაც საწარმო მყიდველს გადასცემს საქონლის საკუთრებასთან დაკავშირებულ ყველა მნიშვნელოვან რისკ და სარგებელს.

კომპანიის შემოსავლების ძირითადი ნაწილი შედგება სამშენებლო სამუშაოებით გაწეული მომსახურებისაგან.

14 ხარჯების აღიარება

მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ხარჯები აღიარდება თუ ის იწვევს მომავალი ეკონომიკური სარგებლის შემცირებას, რომელიც დაკავშირებულია აქტივების შემცირებასთან, ან ვალდებულებების ზრდასთან და შესაძლებელია მისი საიმედოდ შეფასება. ხარჯების აღიარება ხდება უშუალოდ მის

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია



ფინანსური ანგარიშგება 2019 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისათვის

გაწევასთან დაკავშირებული შემოსავლების შეპირისპირების საფუძველზე, ხარჯების სრული შემოსავლების ანგარიშგებაში აღიარდება დაუყოვნებლივ.

15 ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევა ორგანიზაციის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში, ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენს ორგანიზაციის ფინანსურ მდგომარეობაზე, ბალანსის შედგენის თარიღისთვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობის არის აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში. (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

2019 წლის საანგარიშო პერიოდის ანგარიშგების გამოცემის თარიღისათვის კომპანიაში არ ჰქონია ადგილი ასეთ მოვლენებს, რაც საჭიროებს ანგარიშგებაში მოცემული პერიოდის კორექტირებას ან შენიშვნებში მათ ასახვას.

მსს ფასს-ზე კომპანიის გადასვლის თარიღი 01 იანვარი 2018 წელი.

დირექტორი: გრიგოლ ჯიქია

მთ. ბუღალტერი: ცოტნე ხანიშვილი



დირექტორი: გრიგოლ ჯიქია

